

ი/მ ირაკლი ნიშნიანიძე

პ/ნ 41001008153 ; ტყიბულის მუნიციპალიტეტი, სოფ. გელათი ; ტელ.: 5 93 11 11 95

22 თებერვალი 2021 წელი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს

გაცნობებთ, რომ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფ. გელათში საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე (ნაკვეთის კოდი 39.07.28.070) დაპროექტებული და დაწყებული მაქვს ავტოგასამართი სადგური მშენებლობა ოთხი რეზერვუარით, რომელთაგან ორი არის 8-8 მ³, ხოლო ორი 16-16 მ³ მოცულობის (ჯამური მოცულობა 48მ³), რის შესახებაც წარმოდგენილი იყო სკრინინგის განცხადება.

სამინისტროს 2020 წლის 04 დეკემბრის N 11411/01 წერილის შესაბამისად წარმოგიდგენილი იყო სკრინინგის განცხადების შესწორებულ ვარიანტი.

სამინისტროს 2020 წლის 28 დეკემბრის N 12607/01 წერილის შესაბამისად წარმოგიდგენთ სკრინინგის განცხადების შესწორებულ ვარიანტს.

გთხოვთ, განიხილოთ და მიიღოთ გადაწყვეტილება საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისადმი დაქვემდებარების შესახებ.

დანართი: სკრინინგის განაცხადი და განაცხადის ელ. ვერსია.

პატივისცემით
ი/მ ირაკლი ნიშნიანიძე



სკრინინგის განცხადება

ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფ. გელათის ტერიტორიაზე ი/მ
ირაკლი ნიშნიანიძის ავტოგასამართი სადგურის ნავთპროდუქტების
საცავის მოწყობა-ესპლოატაციის პროექტზე

შემსრულებელი: შპს „სამნი“

დირექტორი: თ. კეკულაძე
ტელ.: 5 91 15 72 72

ი/მ ირაკლი ნიშნიანიძე

პ/ნ 41001008153
ტელ.: 5 93 11 11 95

ქუთაისი-2021

შინაარსი

1. შესავალი	3
2. საწარმოს განთავსების ადგილის მდებარეობა.	3
3. ინფრასტრუქტურის ელემენტები	11
4. აგს-ის მუშაობის რეჟიმი და ადამიანური რესურსები.....	15
5. წყალმომარაგება კანალიზაცია	15
6. გარემოზე შესაძლო ზემოქმედება საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციის პროცესში	17
6.1. ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე.	17
6.2. ხმაურის ზემოქმედება.	18
6.3. ზემოქმედება ლანდშაფტზე.	19
6.4. ზემოქმედება წყლის რესურსებზე.....	19
6.5. ნარჩენებით გარემოს დაბინძურების რისკები.....	20
6.6. ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტზე ზემოქმედება	21
6.7. ზემოქმედება ბიომრავალფეროვნებაზე და კულტურული მემკვიდრეობის ბეგლებზე.	22
6.8. ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე	23
6.9. სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება	26
6.10. კუმულაციური ზემოქმედება.....	27
6.11. ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე.....	27
6.12. სახანძრო უსაფრთხოება	27
დანართი 1:ამონაწერი საჯარო რეესტრიდან	33
დანართი 2. სახანძრო უსაფრთხოების გეგმა.....	35
დანართი 3. სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს N391 წერილი.....	55
დანართი 4. პასუხები სამინისტროს 28/12/2020 N12607/01 წერილზე	56

1. შესავალი

ი/მ ირაკლი ნიშნიანიძეს (პ/ნ 41001008153) ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფ. გელათში საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე (ნაკვეთის კოდი 39.07.28.070) დაპროექტებული და დაწყებული აქვს ავტოგასამართი სადგური მშენებლობა ოთხი რეზერვუარით, რომელთაგან ორი არის 8-8 მ³, ხოლო ორი 16-16 მ³ მოცულობის (ჯამური მოცულობა 48მ³). რადგან საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის 6.3 პუნქტის და მეშვიდე მუხლის შესაბამისად საქმიანობა ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას, შემუშავებული იქნა სკრინინგის განცხადება. რომელიც წარდგენილ იქნა სამინისტროში 2020 წლის 18 ნოემბერს(N17965).სამინისტროს 2020 წლის 04 დეკემბრის N11411/01 წერილის შესაბამისად წარმოდგენილიასკრინინგის შესწორებული ვარიანტი.შენიშვნებზე რეაგირება მოცემულია დანართში 2.

ზოგადი ცნობები საწარმოს შესახებ მოცემულია ცხრილში 1.

ცხრილი1

ოპერატორი კომპანია	ი/მ ირაკლი ნიშნიანიძე
კომპანიის იურიდიული მისამართი	ტყიბულის მუნიციპალიტეტი, სოფ. გელათი
საქმიანობის განხორციელების მისამართი	ტყიბულის მუნიციპალიტეტი, სოფ. გელათი
საქმიანობის სახე	ნავთპროდუქტების რეალიზაცია
საკონტაქტო ტელეფონი	5 93 11 11 95
საკონსულტაციო ფირმა	შპს „სამნი“
პროექტის ხელმძღვანელი	თეიმურაზ კეკულაძე
საკონტაქტო ტელეფონი	5 91 15 72 72

2. საწარმოს განთავსების ადგილის მდებარეობა.

ი/მ ირაკლი ნიშნიანიძის (პ/ნ 41001008153) ავტოგასამართი სადგური დაპროექტებულია თავისივე საკუთრებაში არსებულ არასასოფლო სმეურნეო მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის კოდი 39.07.28.070) (დანართი 1), რომელიც მდებარეობს ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფ. გელათის ტერიტორიაზე, ქუთაისი-ტყიბულის საავტომობილო გზის მარცხენა მხარეს (სურათი 1).

ობიექტის განთავსების სიტუაციური გეგმა მოცემულია N1 ნახაზზე.


ტერიტორიის კუთხეთა წვეროები დატანილია N2 ნახაზზე, ხოლო GPS კოორდინატები მოცემულია N2 ცხრილში.



ნახაზი1. ობიექტის განთავსების სიტუაციური გეგმა

ცხრილი 2. ტერიტორიის კუთხეთა წვეროების GPS კოორდინატები.

წვეროს ნომერი	X	Y
1	314732	4685347
2	314740	4685353
3	314755	4685343
4	314766	4685328
5	314776	4685326
6	314778	4685323
7	314762	4685311
8	314756	4685311



ნახაზი 2. ტერიტორიის წვეროების ნუმერაცია.

საპროექტო ტერიტორიას ესაზღვრება:

- ჩრდილოეთიდან ემზარ ბასილადის სასოფლო სამეურნეო (სახნავი) მიწის ნაკვეთი (ნაკვეთის კოდი 39.07.28.019), რომელიც შემოღობილია 2,5 მ. მასიური ბეტონის ღობით და ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი (ნაკვეთის კოდი 39.07.28.091), რომელზედაც განთავსებულია სოფლის ამბულატორია (სურათი N1);
- ჩრდილო -აღმოსავლეთიდან მამუკა გვენეტაძის საკუთრებაში არსებული არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთები (ნაკვეთების კოდები 39.07.28.183 და 39.07.28.071), პირველ მათგანზე განთავსებულია ამორტიზებული შენობა, ხოლო მეორეზე, საქონლის კომბინირებული საკვების მაღაზია (სურათი 2);
- სამხრეთიდან ქუთაისი-ტყიბული-ამბროლაურის საავტომობილო გზა (სურათი N3), საავტომობილო გზის მეორე მხარეს განთავსებულია მამუკა ცირეკიძის არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი (ნაკვეთის კოდი 39.07.28.042), რომელზედაც განთავსებულია რესტორანი გელათი (სურათი N4) და გრიგოლი სადილიანის სასოფლო სამეურნეო (სახნავი), თავისუფალი მიწის ნაკვეთი (ნაკვეთის კოდი 39.07.28.025);

- დასავლეთიდან - კობა ნიშნიანიძისა (ნაკვეთის კოდი (39.07.28.231) და მავლინა მაწკეპლაძის სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) მიწის ნაკვეთები (ნაკვეთების კოდები 39.07.28.255 და 39.07.28.256) (სურათი 5).
- ჩრდილო-დასავლეთით ბეჟან იამანიძის არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთი (ნაკვეთის კოდი 39.07.28.018), რომელზედაც განთავსებულია ქვის სახერხი საწარმო (სურათი N6).
- სამხრეთ-დასავლეთით არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკ. კოდები 39.07.28.012, 39.07.28.098, 39.07.28.099) დაწყებულია დასასვენებელ-გასართობი კომპლექსის მშენებლობა.



სურათი N1



სურათი N2



სურათი N3



სურათი N4



სურათი N5




სურათი N6

საპროექტო აგს-ის ავზების განთავსების ადგილიდან 25 მ-ის დაცილებით მდებარეობს სოფლის ამბულატორია (ნახაზი 3). საპროექტო ტერიტორიის საზღვრიდან ამბულატორიამდე 20 მ-ია, ხოლო ტერიტორიებს შორის მანძილი 13 მ-ი.



ნახაზი 3.

ტერიტორიიდან უახლოესი სახლი განთავსებულია ჩრდილო-დასავლეთით 156 მ-ის დაშორებით. ბეჟან იამანიძის ქვის სახერხი საწარმოს შენობა 15 მ-ით, ცხოველთა კომბინირებული საკვების მაღაზია 17 მ-ით. რესტორანი გელათის შენობა 35 მ-ით. საპროექტო ტერიტორიის ირგვლივ განთავსებული ობიექტები და მათი დაშორების მანძილები მოცემულია ნახაზებზე N4 და N5.



ნახაზი N4.



ნახაზი N5.

3. ინფრასტრუქტურის ელემენტები

აგს-ის მშენებლობა ექსპლუატაციის პროექტზე მშენებლობის ნებართვის მისაღებად ინდ. მეწარმემ გაიარა წინასაპროექტო პროცედურები, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

1. ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერისთან შეთანხმდა მიწის სამშენებლოდ გამოყენების პირობები;
2. ბენზოგასამართის პროექტი შეთანხმებულია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან, გაიცა დადებითი დასკვნა და სათანადო რეკომენდაციები;
3. პროექტი შეთანხმდა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან (მიეცა სათანადო რეკომენდაციები);
4. ინდ. მეწარმემ „სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ რეკომენდაციების გაცემის მიზნით“, მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს, რომლის მიერაც გაიცა სათანადო რეკომენდაციები;
5. საპროექტო ეტაპზე ტერიტორიაზე ჩატარდა საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა, რის საფუძველზეც მომზადდა შესაბამისი დასკვნა;
6. ზემოაღნიშნული დოკუმენტაციებზე დაყრდნობით შედგენილი იქნა ავტო გასამართი სადგურის სამშენებლო პროექტი, რომელზედაც ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გაცემული იქნა მშენებლობის ნებართვა.

ავტოგასამართი სადგურის ინფრასტრუქტურული ელემენტები დატანილია ნახაზი 6-ზე და შედგება: ოფისი და საოპერატორო, სარეზერვუარო პარკი, ავტოცისტერნის პლატფორმა, საჩამომსხმელო სვეტი, ავტო სამრეცხაო და სალექარი, რომელთა მშენებლობა და მონტაჟი დაწყებულია.

დღეის მდგომარეობით დასრულებულია მიწის სამუშაოები, მთლიანი ტერიტორია მობეტონებულია, აშენებულია საპროექტო ერთსართულიანი შენობა (სურათი 7), განთავსებულია მიწისქვეშა რეზერვუარები (სურათი 8). მიმდინარეობს ობიექტის მოპირკეთების სამუშაოები. ჯერ არ არის დამონტაჟებული ობიექტის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ტექნოლოგიური მოწყობილობები და მექანიზმები (სურათი N9). შესაერთებელია ტექნიკური მილგაყვანილობა.



სურათი N7.



სურათი N8




სურათი N9

სარეზერვუარო პარკი მოიცავს ოთხ ჰორიზონტალურად განთავსებულ ავზს, რომელთაგან ორი, 8მ³ და 16მ³ მოცულობით, განკუთვნილია ბენზინისათვის, ხოლო ორი, 8მ³ და 16მ³ მოცულობით, განკუთვნილია დიზელისათვის. რეზერვუარების ჯამური მოცულობა შეადგეს 48მ³.

ავტოგასამართი სადგურის საწვავით მომარაგება დაგეგმილია ავტოცისტერნების საშუალებით, რომლებიც განთავსდებიან ავტოცისტერნების ბაქანზე. ავტოტრანსპორტის სამომხრად განკუთვნილი ტერიტორია იქნება მობეტონებული. მოედნის პერიმეტრზე მოეწყობა არხი, რომელთა საშუალებითაც ტერიტორიაზე მოხვედრილი ნალექები და ნავთობპროდუქტები შეიკრიბება და ჩაედინება სალექარში, საიდანაც გადავა საავტომობილო გზის გასწვრივ არსებულ სანიაღვრე არხებში.

მიწისქვეშა რეზერვუარებიდან, საწვავი მიეწოდება საჩამომსხმელო სვეტებს. ავს-ზე მოეწყობა ერთი გასამართი სვეტი რვა „ფისტოლეტით“ (ოთხი ბენზინისათვის და ოთხი დიზელისათვის). წლიურად იგეგმება 1 500 000 ლ ბენზინისა და 2 200 000 ლ დიზელის საწვავის მიღება/რეალიზაცია.

საწარმოს ინფრასტრუქტურის ელემენტები დანაწილია გენ-გეგმაზე ნახაზი 6.



ქმსალიკაცია

1. საოპერატორო;
2. ავტომობილების ვარდული;
3. ღისპენსერები;
4. ნაპიობკროფშტების მიწისქვეშა რეზერვუარი 4 ცალი $V=13$ მ³;
5. წყლის რეზერვუარი $V=16$ მ³;
6. ავტოსამრეცხაო;
7. ნაპიობკროფშტების გამწმენდი ნაბეობა;
8. ავტოსამრეცხაოს სალქარი;
9. ბასაშეშეპელი მოსაცდელი;
10. ასაშეშეპელი მოსაცდელი;
11. ბილბორდი;
12. საწკვავის ავზების შეშეშეპელი მილუბი $d=89$;
13. ავტოცისტირის მოქანო;
14. აქტიური მესამოდი $R=109,54$;
15. ბამბრევი მილუბი;

ნახაზი 6.გენგეგმა

4. აგს-ის მუშაობის რეჟიმი და ადამიანური რესურსები

დაგეგმილია აგს-ის ყოველდღიურად ფუნქციონირება, 365 დღე წელიწადში, 24 საათიანი რეჟიმით. ავტოსამრეცხაო იმუშავებს მხოლოდ დღის საათებში, 8 საათიანი რეჟიმით.

მომუშავეთა რაოდენობა იქნება 7 კაცი. რომელთაგან ერთი წარმოადგენს ობიექტის ადმინისტრაციას, ხოლო 4 თანამშრომელი განაწილებული იქნება ავტოგასამართ სადგურზე ცვლებში, ყოველდღიურად ერთი კაცი, 2 კაცი იმუშავებს ავტოსამრეცხაოში.

5. წყალმომარაგება კანალიზაცია

ობიექტის წყალმომარაგებისათვის მოეწყობა ჭაბურღილი, რომელზეც აღებული იქნება ლიცენზია არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. წყალსარგებლობის ლიცენზიის მიღება დაგეგმილია შემდეგ GPS კორდინატზე განთავსებულ ჭაზე: x-314538, y-4685079. მიწისქვეშა წყლის გამოყენება დაგეგმილია საწარმოო და სამეურნეო მიზნებისათვის, სასმელი წყლი შეძენილი იქნება უახლოეს მარკეტებში.

წყალი გამოიყენება მუშა-მოსამსახურეთა, ასევე მოქალაქეთა საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის. საწარმოო მიზნით წყალი გამოიყენება მხოლოდ ტექნოლოგიურ მოედნზე შემთხვევით დაღვრილი ნავთობპროდუქტების ჩარეცხვის მიზნით და მანქანების რეცხვისათვის. აღებული წყლის რაოდენობის აღრიცხვა განხორციელდება დამონტაჟებული მრიცხველის საშუალებით, სალიცენზიო პირობების შესაბამისად.

დღის განმავლობაში ობიექტის ტერიტორიაზე იქნება 3 თანამშრომელი, მათი საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის საჭირო წყლის რაოდენობა იქნება $3 \times 45 = 135$ ლ/დღ, $135 \times 360 = 1000 = 48,8$ მ³/წელ. მოქალაქეთა სველი წერტილებით მომსახურებისათვის გათვალისწინებულია 200 ლ/დღეში წლის გამოყენება. რაც წელიწადში შეადგენს 72 მ³-ს.

ობიექტის საყოფაცხოვრებო მიზნით საჭირო წყლის რაოდენობა შეადგენს 120,8 მ³/წელ.

საწარმოო მიზნით წყლის გამოყენება მოხდება ავტოსამრეცხაოში და ტექნოლოგიური მოედნის მოსარეცხად.

მოედნის რეცხვა მოხდება დღეში ერთჯერ. მოედნის ფართობი შეადგენს 40 მ²-ს. რეცხვა განხორციელდება კერხერით, რომლის წყლის ხარჯი შეადგენს წუთში 8 ლიტრს, მოედნის მოსარეცხად საჭიროა 4-5 წთ. შესაბამისად წყლის ხარჯი იქნება $5 \times 8 = 40$ ლ. $40 \times 360 = 1000 = 14,4$ მ³/წელ.

ავტოსამრეცხაოში გათვალისწინებულია 2 ბოქსი, საათში შესაძლებელია 2 მსუბუქი ავტომობილის გარეცხვა. რეცხვა მოხდება კერხერით, რომლის წყლის ხარჯი 8 ლ/წთ-ია (ორივე ბოქსს მოემსახურება ერთი კერხერი). თითოეულ მანქანას დასჭირდება 100 ლ-მდე წყალი. რაც დღეში შეადგენს 1600 ლ-ს. გავრცელებული პრაქტიკით, ავტოსამრეცხაოები ძირითადად მუშაობენ მშრალ ამინდებში, წელიწადში 200 დღე. აღნიშნულის

გათვალისწინებით ავტოსამრეცხაოსათვის საჭირო წყლის წლიური რაოდენობა იქნება $1,6 \times 200 = 320$ მ³.


საწარმოო მიზნით საჭირო წყლის რაოდენობა იქნება 334,4 მ³/წელ.

ამდენად, სულ ობიექტის წყლის წლიური ხარჯი იქნება $334,4 + 120,8 = 455,2$ მ³.

რადგან, ობიექტის განთავსების ტერიტორიაზე არ არსებობს საკანალიზაციო ქსელი, საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების შეკრება და შეგროვება გათვალისწინებულია საასენიზაციო ორმოში. ორმოს საასენიზაციო მომსახურება მოხდება ხელშეკრულების საფუძველზე.

ავტოსამრეცხაოსა და ტექნოლოგიური მოედნის ჩანარეცხი წყლისათვის გათვალისწინებულია მექანიკური გამწმენდი ნაგებობების, ნავთობპროდუქტების დამჭერების მოწყობა. ტექნოლოგიურ მოედანზე მოწყობილი იქნება წყლის შემკრები არხები, რომლითაც ჩამდინარე წყლები ჩაედინება ნავთობდამჭერში, გაწმენდის შემდეგ ჩაშვებული იქნება გზის გასწვრივ არსებულ სანიაღვრე არხში.

ავტოსამრეცხაოს ჩამდინარე წყლები შეიკრიბება ბოქსების ტერიტორიაზე მოწყობილ წყალშემკრებ არხებში და მიეწოდება ავტოსამრეცხაოს გამწმენდ ნაგებობას, გაწმენდის შემდეგ ჩაშვებული იქნება საავტომობილო გზის გასწვრივ (მარცხენა მხარეს) არსებულ სანიაღვრე არხში. სანიაღვრე არხი წარმოადგენს მიმდებარე ტერიტორიებიდან ატმოსფერული ნალექების წყლების შემკრებს და გამტარს, არხი არ არის კერძო მფლობელობაში, ჩაედინება სოფლის უსახელო ღელეში შემდეგ კორდინატზე x-314698, y-4685256. უსახელო ღელე უერთდება მდ. წყალწითელას მარჯვენა სანაპიროდან კორდინატზე x-314768, y-4685173. სანიაღვრე არხისა და უსახელო ღელე დატანილია ნახაზზე N7.



6. გარემოზე შესაძლო ზემოქმედება საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციის პროცესში

გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ზემოქმედება შეიძლება გამოიხატოს: ატმოსფერული ჰაერის ხარისხობრივი მდგომარეობის გაუარესებით; ხმაურის გავრცელებით; ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების დაბინძურების რისკით; ბიოლოგი ურ გარემოზე შესაძლო ზემოქმედებით; ნარჩენების მართვის პროცესში მოსალოდნელი ზემოქმედებით და სხვ.

6.1. ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე.

ობიექტის ფუნქციონირების დროს მოსალოდნელია მავნე აირების გამოყოფა ბენზინისა და დიზელის საწვავის მიღებისა და გაცემისას. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის საანგარიშო მეთოდის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის (საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის დადგენილება #435) შესაბამისად, ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირებისას დიზელისა და ბენზინის მიღება-შენახვა-რეალიზაციის დროს გამოყოფილი მავნე ნივთიერებათა რაოდენობა შეადგენს:

- ა) 1,4 გ ნახშირწყალბადებს (ჯამურად) 1 ლიტრ რეალიზებულ ბენზინის საწვავაზე;
- ბ) 0,0025გ ნახშირწყალბადებს (ჯამურად) 1 ლიტრ რეალიზებულ დიზელის საწვავზე.

ობიექტის ბიზნეს გეგმის შესაბამისად ნავარაუდებია წლიურად 1 500 000 ლ ბენზინის და 2 200 000 ლ დიზელის საწვავის მიღება/რეალიზაცია.

აქედან გამომდინარე გამოყოფილი ნახშირწყალბადების რაოდენობა იქნება:

ბენზინისათვის:

$$G_{\text{ნახშირწყალბადები}} = 1\,500\,000 \times 1,4 / 10^6 = 2,1 \text{ ტ/წელ}$$

$$M_{\text{ნახშირწყალბადები}} = 2,1 \times 10^6 / (365 \times 24 \times 3600) = 0,0666 \text{ გ/წმ};$$

დიზელისათვის:

$$G_{\text{ნახშირწყალბადები}} = 2\,200\,000 \times 0,0025 / 10^6 = 0,0055 \text{ ტ/წელ}$$

$$M_{\text{ნახშირწყალბადები}} = 0,0055 \times 10^6 / (365 \times 24 \times 3600) = 0,0002 \text{ გ/წმ};$$

სულ გაფრქვეული მავნე ნივთიერებების წამური და წლიური რაოდენობები იქნება:

$$M = 0,0668 \text{ გ/წმ}$$

$$G = 2,1055 \text{ ტ/წელ.}$$

როგორც გაანგარიშების შედეგები აჩვენებს, გაფრქვეული ნახშირწყალბადების რაოდენობა მცირეა. ამასთანავე ქვეყნის მამტაბით არსებული გამოცდილება ადასტურებს, რომ ანალოგიური ობიექტების ფუნქციონირებისას არ ხდება გარემოზე მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა.

გასათვალისწინებელია, რომ ავზები აღჭურვილი იქნება დამცავი სარქველით.

6.2. ხმაურის ზემოქმედება.

ავტოგასამართ სადგურზე არ არის გათვალისწინებული ხმაურწარმომქმნელი მანქანა-დანადგარების განთავსება და გამოყენება. ობიექტზე ხმაურის წარმოქმნა შესაძლებელია მხოლოდ ავტოტრანსპორტის გადაადგილებით, საწვავის შემოტანა/შენახვისა და ავტომობილების გამართვის დროს. დაგეგმილი წარმადობისა და ავზების მოცულობის შესაბამისად, ბენზინის საწვავის ავზების (თითოეულის) შევსება საჭიროა წელიწადში დაახლოებით 63-ჯერ, ხოლო დიზელის საწვავის ავზების (თითოეულის) - 93-ჯერ. ამდენად საწვავის მიღება-შენახვის ინტენსივობა შეადგენს წელიწადში მაქიმუმ 312-ს, თვეში საშუალოდ 26-ს. აღნიშნული ინტენსივობა არ იქნება შესამჩნევი ადგილობრივი მცხოვრებლებისათვის. რაც შეეხება საწვავის რეალიზაციას, როგორც წესი სერვისით სარგებლობენ ავტომანქანები, რომლებიც ობიექტის განთავსების მიმართულებით გადაადგილდებიან. გასამართი სადგურის ფუნქციონირება არ იწვევს დამატებითი სატრანსპორტო ნაკადის შექმნას.

რადგან ავტოგასამართი განთავსებულია ქუთაისი-ტყიბული-ამბროლაურის საავტომობილო გზის მიმდებარედ. ობიექტზე ავტომობილის გადაადგილება ვერ იქონიებს გავლენას ფონურ მდგომარეობაზე. მითუმეტეს, ტერიტორიაზე 10 კმ/სთ–მდე შეზღუდული იქნება გადაადგილების სიჩქარე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ხმაურის წარმოქმნა და გავრცელება არ არის მოსალოდნელი.

6.3. ზემოქმედება ლანდშაფტზე.

როგორც აღნიშნული იყო აგს განთავსებულია ქუთაისი-ტყიბული-ამბროლაურის საავტომობილო გზის მიმდებარედ. სამშენებლო მოედანი და მიმდებარე ტერიტორია წარმოადგენს უსუსტემოდ, ნაწილობრივ ათვისებულ ტყე-მინდვრის გზისპირა ტერიტორიას, სადაც არსებული რამოდენიმე სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობა არ ქმნის განაშენიანების რაიმე სურათს, ამიტომ ესთეტიკური თვალსაზრისით ავტოგასამართის აგება მოცემულ გარემოში სავსებით დასაშვებია. ობიექტის მოწყობა ხელს შეუწყობს არსებული გარემოს, როგორც მნიშვნელოვანი ტურისტული სივრცის, ნაწილობრივ ესთეტიკურ მოწესრიგებას.

რაც შეეხება საპროექტო ობიექტის გელათის სამონასტრო კომპლექსთან ურთიერთობას, აღსანიშნავია, რომ ავტოგასამართის მასშტაბისა და დიდი მანძილით დაშორების გამო, სატაძრო ანსამბლზე ვერანაირ გავლენას ვერ მოახდენს, ამასთან საპროექტო ტერიტორია მონასტრის გალავნის შიდა ტერიტორიიდან არ ჩანს. ამიტომ, არსებულ სიტუაციურ-ტოპოლოგიურ ვითარებაში საპროექტო ობიექტის ურთიერთობის საკითხი გელათის სამონასტრო კომპლექსთან საერთოდ გამოირიცხება.

6.4. ზემოქმედება წყლის რესურსებზე

ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირებისას წყალი გამოიყენება სასმელ-სამეურნეო და საწარმოო მიზნებისათვის. ობიექტის წყალმომარაგებისათვის მოეწყობა მიწისქვეშა ჰორიზონტის ჭა, რომელზეც აღებული იქნება ლიცენზია არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

როგორც მე-5 პარაგრაფშია აღნიშნული, ობიექტის მოთხოვნილება წყალზე შეადგენს წელიწადში 455,2 მ³, დღეში მაქსიმალურად საჭირო იქნება 2 მ³-მდე წყლის აღება, რაც ვერ მოახდენს მნიშვნელოვან გავლენას მიწისქვეშა ჰორიზონტზე. ამასთან, წყალსარგებლობა განხორციელდება ლიცენზიის საფუძველზე, სალიცენზიო პირობების სრული დაცვით, რომლის გაცემა და სალიცენზიო პირობების დადგენა მოხდება წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ წინასწარი შესწავლისა და გეოსაინფორმაციო პაკეტის საფუძველზე.

საწარმოს საოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლები მიერთებულია საასენიზაციო ორმოსთან.

ავტოგასამართის ტერიტორია გადახურულია, საწარმოო მოედანზე არ მოხდება ატმოსფერული ნალექების წყლის მოხვედრა. საწარმოო მოედნის გარშემო მოეწყობა შემკრები არხი. ავტომანქანების გამართვის და სხვა გაუთვალისწინებელი შემთხვევების დროს მოედანზე შემთხვევით დაღვრილი ნავთობპროდუქტების ჩანარეცხი წყალი შეიკრიბება ზემოაღნიშნული არხით და მიეწოდება ნავთობდამჭერს. გაწმენდილი წყლის ჩაშვება მოხდება საავტომობილო გზის გასწვრივ არსებულ სანიაღვრე არხში, სათანადო გაწმენდის შემდეგ, საათში 0,036 მ³-ის ოდენობით.

ქუთაისი-ტყიბული-ამბროლაურის საავტომობილო გზის გასწვრივ (მარცხენა მხარეს) არსებული სანიაღვრე არხი წარმოადგენს მიმდებარე ტერიტორიებიდან ატმოსფერული ნალექების წყლების შემკრებს და გამტარს, არხი არ არის კერძო მფლობელობაში, ჩაედინება სოფლის უსახელო დელეში შემდეგ კორდინატზე X-314698 Y-4685256. უსახელო დელე უერთდება მდ. წყალწითელას მარჯვენა სანაპიროდან კორდინატზე X-314768 Y-4685173.

პროექტით ავტოსამრეცხაოს ჩამდინარე წყლებისათვის გათვალისწინებულია ცალკე გამწმენდი ნაგებობა, რომელიც უზრუნველყოფს მის სათანადო გაწმენდას. ავტოსამრეცხაოს ჩამდინარე წყლის მაქსიმალური საათური ხარჯი შეადგენს 0,18 მ³.

როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, ობიექტის ჩამდინარე წყლების ჯამური ხარჯი მცირეა (0,216 მ³/სთ ;0,00006 მ³/წმ), სათანადო გაწმენდის შემდეგ მისი ზედაპირული წყლის ობიექტში ჩაშვება ვერ იქონიებს მნიშვნელოვან გავლენას წყლის ობიექტის მდგომარეობაზე.

საწარმოს მოწყობის დროს ზედაპირული და გრუნტის წყლებზე უარყოფითი ზემოქმედება შეიძლება გამოწვეული იქნას სამშენებლო ტექნიკიდან ნავთობპროდუქტების ავარიული დაღვით, ან/და ტერიტორიიდან ნარჩენების გაფანტვით, აღნიშნული შესაძლებელია ექსპლუატაციის ეტაპზე. უსაფრთხოების წესებისა და ნარჩენების მართვის მოთხოვნების დაცვის შემთხვევაში ზემოქმედების რისკი მინიმალურია.

ამდენად, ობიექტის მოწყობა-ფუნქციონირების დროს ზედაპირული და მიწისქვეშა წყლის ობიექტებზე მოსალოდნელი ზემოქმედება იქნება ძალიან დაბალი.

6.5. ნარჩენებით გარემოს დაბინძურების რისკები

ობიექტზე ნარჩენების წარმოქმნა მოსალოდნელია როგორც მშენებლობის ისე ექსპლუატაციის ეტაპზე.

მშენებლობის ეტაპზე ერთსართულიანი შენობისა და გადახურვის მოწყობისათვის გათვალისწინებულია წერტილოვანი საძირკველების მოწყობა, ტერიტორიის მოსწორება, არმირება და ბეტონის საფარით დაფარვა. ტერიტორიაზე არსებული ამორტიზებული შენობის ნარჩენები, საძირკველების მოწყობის დროს წარმოქმნილი გრუნტი გამოყენებული იქნა ტერიტორიის მოსასწორებლად. მშენებლობისა და მონტაჟის პროცესში შესაძლებელია წარმოიქმნას მცირე რაოდენობით ლითონის ნაჭრები, სამშენებლო მასალების შესაფუთი მასალები, რომლებიც მშენებლობის ორგანიზების პროცესში შეგროვებული იქნება ცალ-ცალკე. ლითონის ჯართი ჩაბარდება ჯართის შემგროვებელ პუნქტებს. მყარი არასახიფათო

ნარჩენები, ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცემა მყარი ნარჩენების კომპანიას. მუნიციპალური ნარჩენების გადაცემაზე გაფორმებულია ვადიანი ხელშეკრულება.

მშენებლობის ეტაპზე წარმოქმნილი ნარჩენები გატანილია ტერიტორიიდან.

ექსპლუატაციის ეტაპზე ნარჩენების მართვა განხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის დაცვით.

აგს-ზე წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვება მოხდება კონტეინერული სისტემის გამოყენებით. უზრუნველყოფილი იქნება სახიფათო, არასახიფათო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება ცალ-ცალკე.

აგს-ზე სულ დასაქმდება 7 ადამიანი. შესაბამისად წლის განმავლობაში მუნიციპალური ნარჩენების მოსალოდნელი რაოდენობა იქნება $7 \times 0,73 = 5,11$ მ³, რომელიც გატანილი იქნება ტყიბულის მუნიციპალური სამსახურის მიერ, სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე და განთავსდება მუნიციპალური ნარჩენების ნაგავსაყრელზე.

ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია მცირე რაოდენობის სახიფათო ნარჩენის წარმოქმნა. წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენები (ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული მასალები, ნავთობდამჭერის ლექი) დროებით დასაწყობდება საწარმოს ტერიტორიაზე დახურულ სათავსოში. ნარჩენების აღდგენის ან განთავსების მიზნით, ისინი ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცემა შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანიზაციას.

6.6. ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტზე ზემოქმედება

ავტოგასამართის დაპროექტება მოხდა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, რომელზედაც წლების წინ განთავსებული იყო ავტონაწილების მაღაზია, სავაჭრო ობიექტის ფუნქციონირების დროს ტერიტორია მოპირკეთებული იყო მყარი საფარით. ავტოგასამართის დაპროექტების დროს ტერიტორიაზე არ იყო ნიადაგის ნაყოფიერი ფენა (სურათი N10). წინასაპროექტო საინჟინრო-გეოლოგიური შესწავლის დროს შურფია გაყვანის შედეგად დადგინდა, რომ ტერიტორია დაფარულია 1მ-მდე ტექნოგენური ნაყარით. ამდენად პროექტის განხორციელება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე გავლენას ვერ მოახდენს. სამშენებლო სამუშაოების დროს მოეწყო წერტილოვანი საძირკვლები, ტერიტორია მოსწორდა და დაიფარა ბეტონის ხსნარით, გრუნტის ხარისხზე ობიექტის ფუნქციონირება გავლენას ვერ მოახდენს.



სურათი N10 საპროექტო ტერიტორია მშენებლობის დაწყებამდე

6.7. ზემოქმედება ბიომრავალფეროვნებაზე და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე.

საპროექტო ტერიტორიაზე მშენებლობის დაწყებამდე ხე მცენარეები არ იყო განთავსებული, ამიტომ ობიექტის მოსაწყობად არ მომხდარა მცენარეების მოჭრა.

საპროექტო ტერიტორიის მოსაზღვრე ნაკვეთებზე ხე-მცენარეები დარგულია ან ამოსულია ღობეების ან გზის გასწვრივ, რომელიც ძირითადად წარმოდგენილია აკაციისა და გლედიჩიას ხეებით, მაცვლისა და ეკალიჩის ბუჩქებით, ერთ და მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეებით. საავტომობილო გზის კიდეებზე ამოსულია წიწვოვანი კრიპტომერიას ჯიშის ხეები (სურათი N11, N12). საკვლევი ტერიტორიის სიახლოვეს წითელ წიგნისა და წითელი ნუსხის სახეობები, ან კონსერვაციული ღირებულების ეგზემპლარები ვერ იქნა გამოვლენილი. უშუალოდ საწარმოს განთავსების ტერიტორია თავისუფალია ხე მცენარეებისაგან, რაც გამორიცხავს სამუშაოების პროცესში და შემდგომ ეტაპზე, მცენარულ საფარზე რაიმე სახის ზემოქმედებას.



სურათი N11



სურათი N12

საპროექტო საწარმო განთავსებულია სოფ. გელათის ტერიტორიაზე, იგი სამონასტრო კომპლექსიდან საავტომობილო გზით დაშორებულია 3 კმ-მდე მანძილით, ხოლო პირდაპირ-1,4 კმ-ით. გელათის სამონასტრო კომპლექსი ჰიფსომეტრულად მაღალ დონეზე მდებარეობს, მათ მდებარეობებს შორის სიმაღლის სხვაობა შეადგენს 200 მ-ს.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საპროექტო საწარმო დიდი მანძილით დაშორების, ჰიფსომეტრული დონეთა სხვაობისა და დაგეგმილი საქმიანობის მცირე მასშტაბის (სიმძლავრის) გამო, ვერ მოახდენს უარყოფით გავლენას გელათის კომპლექსზე.

6.8. ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე

საწარმოს ტერიტორიიდან 76 მ-ის დაშორებით მდებარეობს ბუნების ძეგლის სტატუსის მქონე წყალწითელას ხეობა, რომელიც განთავსებულია ქ. ქუთაისი, ტყიბულის და თერჯოლის მუნიციპალიტეტები, გელათის ხიდიდან გოდოგანის ხიდამდე (ნახაზი N8).



ნახაზი N8

საპროექტო საწარმოსა და მდინარის ხეობას შორის განთავსებულია ქუთაისი-ტყიბულის საავტომობილო გზა, კერძო საკუთრებაში არსებული სასოფლო და არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები, რომლებზეც განთავსებულია შემდეგი ობიექტები: რესტორანი (39.07.28.042, არასასოფლო) სურათი N13), თავისუფალი ტერიტორია (39.07.28.025 სასოფლო(სურათი N14), ხოლო მიწის ნაკვეთებზე საკ. კოდებით 39.07.28.012, 39.07.28.098, 39.07.28.099 (სურათები N15 და N16) მიმდინარეობს დასასვენებელ-გასართობი კომპლექსის მშენებლობა. მიწის ნაკვეთები გზისა და ხეობის მხარეს შემოსაზღვრულია ღობით, რომლის გასწვრივ დარგულია/ამოსულია ხე მცენარეები.



სურათი N 113



სურათი N14



სურათი N15




სურათი N16

სამინისტროს 2020 წლის 28 დეკემბრის N12607/01 წერილის თანახმად, „საპროექტო ტერიტორია მდებარეობს დაცული ბუნების ძეგლების (წყალწითელას ხეობა) სიახლოვეს, შესაბამისად სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების შედეგად შესაძლო ავარიული სიტუაციებისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შესახებ. ხანძრის აღნიშნული სამოქმედო გეგმა შეთანხმებული უნდა იქნეს იმერეთის მღვიმეთა დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციასთან, ხოლო აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია მოცემული უნდა იქნას სკრინინგის განცხადებაში“. აღნიშნულის გათვალისწინებით მომზადებული იქნა სახანძრო უსაფრთხოებისა და ხანძარზე რეაგირების გეგმა (დანართი N2), რომელიც შესათანხმებლად გაეგზავნა სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს.

სააგენტოს 2021 წლის 21 თებერვლის N391 წერილით (დანართი 4) გამოგზავნილი იქნა დაზუსტებული სიტუაციური გეგმა (ნახაზი N9), რომლის თანახმადაც საპროექტო საწარმოსა და დაცულ ტერიტორიას შორის მანძილი შეადგენს 900 მ-ს.

ტერიტორიასა და ხეობას შორის დაზუსტებული მანძილის, ბარიერების, დაგეგმილი საქმიანობის ტიპისა და მასშტაბის გათვალისწინებით, ბუნების ძეგლის სტატუსის მქონე ხეობაზე უარყოფითი გავლენა მოსალოდნელი არ არის.

ამასთან, მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე ბუნების ძეგლის ტერიტორიასთან რაიმე შეხების შემთხვევაში დაცული იქნება საქართველოს კანონით „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ დადგენილი რეჟიმი.



6.9. სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება

საწარმო ფუნქციონირებით მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს სოციალური პირობების გაუმჯობესებაში.

საწარმოში და მის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ დასაქმებულთა რიცხვი დიდი არ იქნება (7 ადამიანი), ობიექტზე დასაქმებული იქნება ადგილობრივი მცხოვრები, რაც ქვეყანაში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით დადებითად იმოქმედებს ადამიანების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

დაგეგმილი საქმიანობა (ავტოგასამართი, მარკეტი, სველი წერტილები, ავტო სამრეცხაო) დადებითად აისახება ასევე გზის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე.

ი/მ ირაკლი ნიშნიანიძე ქვეყანაში არსებული საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფო ბიუჯეტში გადაიხდის მასზე დაკისრებულ გადასახადებს, რაც ასევე დადებითად აისახება ადგილობრივ ბიუჯეტზე.

6.10. კუმულაციური ზემოქმედება.

განსახილველი ობიექტის სიახლოვეს ანალოგიური ტიპის მოქმედი ობიექტი არ არის. უახლოესი მოქმედი აგს დაშორებულია 1000 მ-ზე მეტი მანძილით. ამისა და საპროექტო ობიექტების პარამეტრების გათვალისწინებით ადგილი არ ექნება კუმულაციურ ზემოქმედებას.

6.11. ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე

საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში ადამიანების (იგულისხმება როგორც მომსახურე პერსონალი, ასევე მიმდებარე მაცხოვრებლები) ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე უარყოფითი ზემოქმედება პირდაპირი სახით მოსალოდნელი არ არის. დაწესებული რეგლამენტის დარღვევის (მაგალითად, სატრანსპორტო საშუალების ან/და სამშენებლო დანადგარების არასწორი მართვა, შრომის უსაფრთხოების მოთხოვნათა დარღვევა), აგრეთვე სხვადასხვა მიზეზის გამო შექმნილი ავარიული სიტუაციის შემთხვევაში შესაძლებელია როგორც არაპირდაპირი, ისე მეორადი უარყოფითი ზემოქმედება სახიფათო შედეგებით.

ობიექტზე დაცული იქნება შრომის უსაფრთხოების წესები, თვალსაჩინო ადგილზე განთავსდება სათანადო უსაფრთხოების ნიშნები. ავტომანქანების გადაადგილების სიჩქარე შეზღუდული იქნება 10 კმ/სთ-მდე. ავტოგასამართი აღჭურვილია სახანძრო უსაფრთხოების თანამედროვე სისტემებით, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ხანძრის პრევენციას, ისე ადამიანების უსაფრთხოებას.

6.12. სახანძრო უსაფრთხოება

ინდ. მეწარმე ირაკლი ნიშნიანიძემ საწარმოს პროექტირების ეტაპზე „სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ რეკომენდაციების გაცემის მიზნით“, მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს, რომლის მიერაც გაიცა სათანადო რეკომენდაციები;

„სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის N370 დადგენილების, „ავტოგასამართი სადგურებისა და ავტოგასამართი კომპლექსების უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N60 დადგენილებისა და „საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტების აღიარებისა და სამოქმედოდ დაშვების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N52 დადგენილებით აღიარებული ნორმების მოთხოვნების შესაბამისად, ავტოგასამართი სადგურის მშენებლობისას და ექსპლუატაციისათვის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ მიცემული იქნა შემდეგი რეკომენდაციები:

ა) ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნების შესაბამისად, ავტოგასამართი სადგურის ყველა სათავსში დამონტაჟდეს სახანძრო სიგნალიზაცია, გარდა იმ ოთახებისა სადაც მუდმივად იმყოფება მომსახურე პერსონალი;

ბ) ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნების შესაბამისად, ავტოგასამართი სადგური და საწვავის მიწისქვეშა რეზერვუარი დაცილებული უნდა იყოს:

- საავტომობილო გზებიდან არანაკლებ 15 (თხუთმეტი) მეტრისა;
- სარკინიგზო გზებიდან არანაკლებ 25 (ოცდახუთი) მეტრისა;
- საზოგადოებრივი დანიშნულების ნებისმიერი შენობა-ნაგებობამდე და ადამიანთა მასიური თავშეყრის ადგილებამდე არანაკლებ 25 (ოცდახუთი) მეტრისა;

გ) ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნების შესაბამისად, ავტოგასამართი სადგური აღჭურვოს ხანძრის ქრობის პირველადი საშუალებებით - ცეცხმაქრებით, სახანძრო სტენდით, აგრეთვე სორბენტით;

დ) ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნების შესაბამისად, წყლის მომარაგების შესაბამისი ქსელის არსებობის შემთხვევაში ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე მოეწყოს სახანძრო ჰიდრანტი, ხოლო ასეთი ქსელის არ არსებობის შემთხვევაში, ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიიდან არაუმეტეს 200 (ორასი) მეტრის დაშორებით მოეწყოს შესაბამისი მოცულობის ხანძარსაწინააღმდეგო წყალსაცავი (რეზერვუარი);

ე) ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნების შესაბამისად, ავტოგასამართი სადგურის საწვავის შესანახი რეზერვუარები უნდა იყოს აღჭურვილი მოწყობილობით, რომელიც მისი მოცულობის 90%-ის შევსების დროს გაოსცემს ხმოვან სიგნალს და აღნიშნულის შესახებ ატყობინებს ავტოგასამართი სადგურის თანამშრომლებს, ხოლო 95%-ის შევსების დროს უზრუნველყოფს საწვავის მიწოდების ავტომატურ შეწყვეტას;

ვ) ავტოგასამართი სადგურის საწვავის რეზერვუარების საწვავით შევსების დონე არ უნდა აღემატებოდეს მათი შიდა გეომეტრიული მოცულობის 95%-ს;

ზ) ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნების შესაბამისად, ავტოგასამართი სადგურის საწვავის გამანაწილებელი სვეტი უნდა იყოს აღჭურვილი მოწყობილობით, რომელიც გამორიცხავს სვეტის დაზიანების შემთხვევაში საწვავის დაღვრას, როგორც საწვავის დამაკავშირებელი მილდგარებიდან, ასევე გამმართველი რეზინის მოქნილი მილებიდან;

თ) ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნების შესაბამისად, ავტოგასამართი სადგურის საწვავის შესანახი რეზერვუარები აღჭურვილი უნდა იყოს ჰერმეტიკულობის კონტროლის სისტემებით;

ი) ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნების შესაბამისად, ავტოგასამართის ექსპლუატაციის დროს რეზერვუარების საწვავით შევსებისას გამორიცხული უნდა იყოს საწვავის ჩასხმის დროს ნაკადის დაცემის წარმოქმნა;

კ) ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნების შესაბამისად, ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე არ იქნება გამოყენებული ელ. ენერგიის საჭაერო გადაცემის ხაზები

- ლ) ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნების შესაბამისად, ავტოგასამართი სადგურისათვის პროექტით გათვალისწინებული გამართული მეხდაცვის სისტემა;
- მ) ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნების შესაბამისად, ავტოგასამართი სადგურის ძირითადი და დამხმარე მოწყობილობები დაცული უნდა იყოს სტატიკური ელექტროობისაგან. რეზერვუარების საწვავით შევსების დროს ავტოციეტერნები მიერთებული ინდა იყოს დამიწების მოწყობილობებთან;
- ნ) ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნების შესაბამისად, ავტოგასამართი სადგურის საწვავის რეზერვუარისათვის მოეწყოს ქარხნულიწარმოების სასუნთქი, დამცავი სარქველები, რომლებიც გამორიცხავენ რეზერვუარებში ალისშელწევას;
- ო) ბრძანებით განისაზღვროს ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებების შენახვისა და მოქმედებებისათვის მზადყოფნაზე პასუხისმგებელი პირი;
- პ) ავტოგასამართი აღიჭურვოს არანაკლებ 3 (სამი) მეტრი სიგრძის ბუქსირის ხისტი შტანგით;
- ჟ) ავტოგასამართი სადგურის მომსახურე პერსონალს და ავტოციეტერნების მძღოლებს არანაკლებ 6 თვეში ერთხელ ჩაუტარდეს ტრენინგები ხანძრის ჩაქრობისა და საავარიო სიტუაციების ლოკალიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ.

ზემოაღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინებით განხორციელდა აგს-ის პროექტის შედეგა (ნახაზი 9; 10; 11).


პროექტის ტექნოლოგიური ნაწილის განმარტებითი ბართის თანახმად, პროექტირებისას გამოყენებულია ამერიკის სტანდარტი ადვილადააღებადი და ფეთქებადსაშიში თხევადი ნივთიერებების კოდექსი NFPA 30 2015 წლის გამოცემა. ყველა ტექნოლოგიურ მოწყობილობაზე დაყენებულია ხანძრის შემთხვევაში ავტომატური ჩამკეტი სისტემები.

რადგან საწარმოს გათავსების ტერიტორია მდებარეობს დაცული ბუნების ძეგლების (წყალწითელას ხეობა) სიახლოვეს, სამინისტროს რეკომენდაციით (2020 წლის 28 დეკემბრის N12607/01 წერილი) მომზადებული იქნა საქმიანობის განხორციელების შედეგად შესაძლო ავარიული სიტუაციებისა (ხანძრის) და ხანძარზე რეაგირების სამოქმედო გეგმა, რომელიც შესათანხმებლად წარდგენილი იქნა სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოში.

სააგენტოს 21.02.2021 წ. N391 წერილის თანახმად, დაცული ტერიტორიების სააგენტოს არ გააჩნია შენიშვნები სახანძრო უსაფრთხოების პირობებისა და ხანძარზე რეაგირების გეგმასთან დაკავშირებით.

ნახაზი N9. საწვავის მილსადენების გეგმა.

შენიშვნა მ. 1:500




- მსკალივანი
1. საკვანძოთი;
 2. ავტომატიზაციის ჯაბოქო;
 3. ფოსფორმინერი;
 4. ნაპოვაროვანი მიწისქვეშა რეზერვუარი 4 ტალი V=13 მ³;
 5. წყლის რეზერვუარი V=16 მ³;
 6. ავტომატიზაცი;
 7. ნაპოვაროვანი ნაწილი;
 8. ავტომატიზაციის სალქი;
 9. ბასმინერი მიწისქვეშა;
 10. სასმინერი მიწისქვეშა;
 11. სილქო;
 12. საწვავის ავტომატიზაციის მიწისქვეშა d=89;
 13. ავტომატიზაციის რეზერვუარი;
 14. ავტომატიზაციის R=109,54;
 15. ბასმინერი მიწისქვეშა;

ტვირულის მუდობრივობები, სრუ. გეგმაში (ს/კ 39.07.28.070)			
შსაგონი	დ. ნახტარი	<i>Handwritten Signature</i>	7.02.2020წ.
			3
ავტომატიზაციის სალქი	ნაპოვაროვანი მიწისქვეშა რეზერვუარი		


ნახაზი 10. მიწისქვეშა რეზერვუარების სახანძრო უსაფრთხოება

მიწისქვეშა რეზერვუარის შემოკერის სქემა



ტფიშელის მუნიციპალიტეტი, სოფ. ბულაბო (ს/პ 39.07.28.070)			
შეამოწმნა	მ. ჩახტაური	<i>Handwritten Signature</i>	7.02.2020წ.
			4
ამტოშანამაჟიო სარგზო	მიწისქვეშა რეზერვუარის უსაფრთხოების სქემა		

ნახაზი N11. საწვავის გამანაწილებელი მილსადენების სქემა



დანართი 1: ამონაწერი საჯარო რეესტრიდან



მწის (უზრავი ქონების) საკლასტრო კოდი **N 39.07.28.070**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882019325770 - 30/04/2019 13:18:50

მომზადების თარიღი
02/05/2019 10:41:15

საკუთრების განყოფილება

მონა გციბული	სექტორი კურსები	კვარტალი	ნაკვეთი	ნაკვეთის საკუთრების გიბი: საკუთრება ნაკვეთის დანიშნულება: არასასიფლო სამეურნეო დამუსკებელი ფართობი: 808.00 კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი: 39.07.02.205; შენიშვნა-ნაგებობის ჩამონათვალი: N1 საერთო ფართობი - 109.2 კვ.მ.
39	07	28	070	

მისამართი: მუნიციპალიტეტი გციბული, სოფელი
გელათი

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 892018770397 , თარიღი 04/09/2018 14:16:28
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 04/09/2018

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- უძრავი ნივთის ნაცხადობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი: 04/09/2018 , სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული საბაგენტო

მესაკუთრები:
ირაკლი ნიშნიანიძე, P/N: 41001008153

მესაკუთრე: აღწერა:
ირაკლი ნიშნიანიძე

იპოთეკა

განცხადების რეგისტრაცია ნომერი 892018763039 თარიღი 31/08/2018 16:52:27	იპოთეკარა საბაქციო საზოგადოება "თიბისი ბანკი" 204854595; მესაკუთრე: ირაკლი ნიშნიანიძე P/N: 41001008153; საგანი: დამუსკებელი ფართობი: 808.00 კვ.მ. შენიშვნა-ნაგებობის ჩამონათვალი: N1 ; იპოთეკის ხელშეკრულება N1231232446729, დამოწმების თარიღი 31/08/2018, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული საბაგენტო
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 03/09/2018	
საგადასახადო გირაფენობა: რეგისტრირებული არ არის	

შემლული სარგებლობა

განცხადების რეგისტრაცია ნომერი 892018720235 თარიღი 16/08/2018 13:36:57	მოსარგებლე: მავლინა მაწკეპლაძე P/N: 60002000630; მესაკუთრე: ირაკლი ნიშნიანიძე P/N: 41001008153; საგანი: 81 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე ვრცელდება სერვიტუტის უფლება უძრავი ნივთის ს/კპ9.07.28.230 (მესაკუთრე მავლინა მაწკეპლაძის) სასარგებლოდ; ურთიერთშეთანხმების ხელშეკრულება უძრავი ქონების სერვიტუტით დაგვიროვის შესახებ, დამოწმების თარიღი 16/08/2018, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტო
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 22/08/2018	

ვალებულება

ყაღაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეგისტრაცია:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური ბქივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემთხველო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საინფორმაციო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგინს დეკლარაციის საგადასახადო ორგანიზაციის აღნიშნული ვადებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართი აღდგენის ვალდებულებას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მხედვით."

- დეკლარაციის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ გერბიგორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში გვეხიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირდაპირ შეაქვით განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეგისტრის თანამშრომელია მზრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით შეგუწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

დანართი 2. სახანძრო უსაფრთხოების გეგმა

ი.მ. ირკლ ნიშნიანიძე

ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფ. გელათის ტერიტორიაზე
ავტოგასამართი სადგურის ნავთპროდუქტების საცავის მოწყობა-
ესპლოატაციის

სახანძრო უსაფრთხოების პირობები და ხანძარზე რეაგირების
გეგმა

წყალტუბო 2021 წ.

1. შესავალი

ი/მ ირაკლი ნიშნიანიძეს (პ/ნ 41001008153) ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფ. გელათში საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე (ნაკვეთის კოდი 39.07.28.070) დაპროექტებული და დაწყებული აქვს ავტოგასამართი სადგური მშენებლობა ოთხი რეზერვუარით, რომელთაგან ორი არის 8-8 მ³, ხოლო ორი 16-16 მ³ მოცულობის (ჯამური მოცულობა 48მ³).

აგს-ის მშენებლობა ექსპლუატაციის პროექტზე მშენებლობის ნებართვის მისაღებად გავლილი იქნა წინასაპროექტო პროცედურები, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.


7. ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერისთან შეთანხმდა მიწის სამშენებლოდ გამოყენების პირობები;
8. ბენზოგასამართის პროექტი შეთანხმებულია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან, დაიცა გადებითი დასკვნა და სათანადო რეკომენდაციები;
9. პროექტი შეთანხმდა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან (მიეცა სათანადო რეკომენდაციები);
10. ინდ. მეწარმემ „სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ რეკომენდაციების გაცემის მიზნით“, მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს, რომლის მიერაც გაიცა სათანადო რეკომენდაციები;
11. საპროექტო ეტაპზე ტარიტორიაზე ჩატარდა საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა, რის საფუძველზეც მომზადდა შესაბამისი დასკვნა;
12. ზემოაღნიშნული დოკუმენტაციებზე დაყრდნობით შედგენილი იქნა ბენიზგასამართის სამშენებლო პროექტი, რომელზედაც ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გაცემული იქნა მშენებლობის ნებართვა.

რადგან, დაგეგმილი საქმიანობა გათვალისწინებულია გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-2 დანართით და ექვემდებარება სკრინინგის პროცედურის გავლას, იგივე კოდექსის მე-7 მუხლის შესაბამისად მომზადებული იქნა სკრინინგის განაცხადი და გადაწყვეტილების მიღების მიზნით გაგზავნილი იქნა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში.

სამინისტროს 2020 წლის 28 დეკემბრის N12607/01 წერილის თანახმად, „საპროექტო ტერიტორია მდებარეობს დაცული ბუნების ძეგლების (წყალწითელას ხეობა) სიახლოვეს, შესაბამისად სკრინინგის განცხადებს უნდა მოიცავდეს ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების შედეგად შესაძლო ავარიული სიტუაციებისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შესახებ. ხანძრის აღნიშნული სამოქმედო გეგმა შეთანხმებული ინდა იქნეს იმერეთის მღვიმეთა დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციასთან, ხოლო აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია მოცემული უნდა იქნას სკრინინგის განცხადებაში“. აღნიშნულის გათვალისწინებით მომზადებული იქნა სახანძრო უსაფრთხოებისა და ხანძარზე რეაგირების გეგმა.

2. ობიექტის განთავსება

ავტოგასამართი საწარმო მდებარეობს ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფ. გელათის ტერიტორიაზე, ქუთაისი-ტყიბულის საავტომობილო გზის მარცხენა მხარეს. ობიექტის განთავსების სიტუაციური გეგმა მოცემულია N1 ნახაზზე.



ნახაზი 1. ობიექტის განთავსების სიტუაციური გეგმა

საწარმოს ტერიტორიიდან 76 მ-ის დაშორებით მდებარეობს ბუნების ძეგლის სტატუსის მქონე წყალწითელას ხეობა, რომელიც განთავსებულია ქ. ქუთაისი, ტყიბულის და თერჯოლის მუნიციპალიტეტები, გელათის ხიდიდან გოდოგანის ხიდამდე (ნახაზი N2).



ნახაზი N8

საპროექტო საწარმოსა და მდინარის ხეობას შორის განთავსებულია ქუთაისი-ტყიბულის საავტომობილო გზა, კერძო საკუთრებაში არსებული სასოფლო და არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები, რომლებზეც განთავსებულია შემდეგი ობიექტები: რესტორანი (39.07.28.042, არასასოფლო), თავისუფალი ტერიტორია (39.07.28.025 სასოფლო, ხოლო მიწის ნაკვეთებზე საკ. კოდებით 39.07.28.012, 39.07.28.098, 39.07.28.099 მიმდინარეობს დასასვენებელ-გასართობი კომპლექსის მშენებლობა. მიწის ნაკვეთები გზისა და ხეობის მხარეს შემოსაზღვრულია ღობით, რომლის გასწვრივ დარგულია/ამოსულია ხე მცენარეები. საპროექტო აგს-ის ავზების განთავსების ადგილიდან 25 მ-ის დაცილებით მდებარეობს სოფლის ამბულატორია.



ნახაზი N3.

3. აგს-ის მუშაობის რეჟიმი და ადამიანური რესურსები

დაგეგმილია აგს–ის ყოველდღიურად ფუნქციონირება, 365 დღე წელიწადში, 24 საათიანი რეჟიმით. ავტოსამრეცხაო იმუშავებს მხოლოდ დღის საათებში, 8 საათიანი რეჟიმით.

წლიურად იგეგმება 1 500 000 ლ ბენზინისა და 2 200 000 ლ დიზელის საწვავის მიღება/რეალიზაცია.


მომუშავეთა რაოდენობა იქნება 7 კაცი. რომელთაგან ერთი წარმოადგენს ობიექტის ადმინისტრაციას, ხოლო 4 თანამშრომელი განაწილებული იქნება ავტოგასამართ სადგურზე ცვლებში, ყოველდღიურად ერთი კაცი, 2 კაცი იმუშავებს ავტოსამრეცხაოში.

4. აგს-ის ინფრასტრუქტურის ელემენტები

ავტოგასამართი სადგურის ინფრასტრუქტურული ელემენტები დატანილია ნახაზი 4-ზე და შედგება: ოფისი და საოპერატორო, სარეზერვუარო პარკი, ავტოცისტერნის პლატფორმა, საჩამომსხმელო სვეტი, ავტო სამრეცხაო და სალექარი, რომელთა მშენებლობა და მონტაჟი დაწყებულია.

სარეზერვუარო პარკი მოიცავს ოთხ ჰორიზონტალურად განთავსებულ ავზს, რომელთაგან ორი, 8მ³ და 16მ³ მოცულობით, განკუთვნილია ბენზინისათვის, ხოლო ორი, 8მ³ და 16მ³ მოცულობით, განკუთვნილია დიზელისათვის. რეზერვუარების ჯამური მოცულობა შეადგეს 48მ³.

ავტოგასამართი სადგურის საწვავით მომარაგება დაგეგმილია ავტოცისტერნების საშუალებით, რომლებიც განთავსდებიან ავტოცისტერნების ბაქანზე. ავტოტრანსპორტის სამომხრად განკუთვნილი ტერიტორია იქნება მობეტონებული. მოედნის პერიმეტრზე მოეწყობა არხი, რომელთა საშუალებითაც ტერიტორიაზე მოხვედრილი ნალექები და ნავთობპროდუქტები შეიკრიბება და ჩაედინება სალექარში, საიდანაც გადავა საავტომობილო გზის გასწვრივ არსებულ სანიაღვრე არხებში.



ქსპლიკაცია

1. საოპერატორო;
2. ავტოგრაფიის ფარული;
3. დისკენსერები;
4. ნავთობპროდუქტების მიწისქვეშა რეზერვუარი 4 ცალი V=13 მ³;
5. წყლის რეზერვუარი V=16 მ³;
6. ავტოსამრეცხაო;
7. ნავთობპროდუქტების გამწმენდი ნაბეჭობა;
8. ავტოსამრეცხაოს ხალქარი;
9. ბასაშემგებელი მოსაცდელი;
10. ასაშენებელი მოსაცდელი;
11. ბიზორი;
12. საწვავის ავზების შემავსებელი მილუბი $d=89$;
13. ავტოცისტერნის მოქანა;
14. აპტიური მისამართი $R=109,54$;
15. ბამბრევი მილუბი;

5. წყალმომარაგება კანალიზაცია

ობიექტის წყალმომარაგებისათვის მოეწყობა ჭაბურღილი, რომელზეც აღებული იქნება ლიცენზია არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. წყალსარგებლობის ლიცენზიის მიღება დაგეგმილია შემდეგ GPS კორდინატზე განთავსებულ ჭაზე: x-314538, y-4685079. მიწისქვეშა წყლის გამოყენება დაგეგმილია საწარმოო და სამეურნეო მიზნებისათვის, სასმელი წყლი შეძენილი იქნება უახლოეს მარკეტებში.

ავტოსამრეცხაოსა და ტექნოლოგიური მოედნის ჩანარეცხი წყლისათვის გათვალისწინებულია მექანიკური გამწმენდი ნაგებობების, ნავთობპროდუქტების დამჭერების მოწყობა. ტექნოლოგიურ მოედანზე მოწყობილი იქნება წყლის შემკრები არხები, რომლითაც ჩამდინარე წყლები ჩაედინება ნავთობდამჭერში, გაწმენდის შემდეგ ჩაშვებული იქნება გზის გასწვრივ არსებულ სანიაღვრე არხში.

6. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები ავტოგასამართი სადგურებისა და კომპლექსებისათვის

ეს თავი ადგენს სახანძრო უსაფრთხოების ძირითად მოთხოვნებს ავტოგასამართი სადგურებისა და კომპლექსების ტერიტორიის, შენობა-ნაგებობების, ტექნოლოგიური მოწყობილობის მიმართ, სატრანსპორტო საშუალებების ნავთობპროდუქტებით, გათხევადებული ნახშირწყალბადიანი აირის და შეკუმშული აირის საწვავით გამართვის დროს, აგრეთვე მათი შენახვისა და გაცემის წესს.

2. ავტოგასამართ სადგურებზე და კომპლექსებზე უნდა იყოს შემდეგი დოკუმენტაცია:

- ა) ხანძარსაშიში სიტუაციებისა და ხანძრების ლოკალიზაციის და ლიკვიდაციის გეგმა;
- ბ) უახლოესი წყლის წყაროების გეგმა-სქემა მანძილების და წყლის წყაროების დებიტების აღნიშვნით;
- გ) ავტოგასამართი სადგურების და კომპლექსების ტერიტორიიდან ადამიანებისა და სატრანსპორტო საშუალებების ევაკუაციის გეგმა;
- დ) ავტოგასამართი სადგურების და კომპლექსების ექსპლუატაციისა და ტექნიკური მომსახურების სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინსტრუქციები;
- ე) ავტოგასამართი სადგურების და კომპლექსების მეხამრიდ სისტემებზე ჩატარებული სარეგლამენტო და სარემონტო სამუშაოების აღრიცხვის ჟურნალი.

3. ავტოგასამართი სადგურების საწვავის რეზერვუარების საწვავით შევსებიდონე არ უნდა აღემატებოდეს მათი შიდა გეომეტრიული მოცულობის 95%-ს. წვადი აირების რეზერვუარების შევსების დონე მიწისქვეშა განლაგების დროს არ უნდა აღემატებოდეს 90%-ს, ხოლო მიწისზედა განლაგებისას - 85%-ს.

4. ავტოგასამართი სადგურების და კომპლექსების ძირითად და დამხმარე ტექნოლოგიურ მოწყობილობებს უნდა ჰქონდეთ დაცვა სტატიკური ელექტრობისაგან. რეზერვუარების საწვავით შევსების დროს ავტოცისტერნები უნდა იყოს მიერთებული დამიწების მოწყობილობასთან. მოქნილი დამიწების სადენი მუდმივად უნდა იყოს მიერთებული ავტოცისტერნასთან და გააჩნდეს დამიწების მოწყობილობასთან შემაერთებელი ჭახრაკი ან ჭანჭიკის ბუნიკი.

5. ტექნოლოგიური ჭების ლუკების ხუფები, ავტოგასამართი სადგურის კარები და ლუკიები, უნდა იყოს ნაპერწკალუსაფრთხო (შესრულებული ფერადი ლითონებისაგან ან ალჭურვილი ნაპერწკალუსაფრთხო შუასადებებით).

6. ავტოგასამართ სადგურებზე და კომპლექსებზე სატრანსპორტო საშუალებების გამართვისას საჭიროა შემდეგი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვა:

ა) მოტოციკლებისა და მოტოროლერების ძრავას ამოქმედება და გამორთვა უნდა ხდებოდეს საწვავ-სარიგებელი სვეტიდან არანაკლებ 15 მ მანძილზე, ხოლო ავტომობილები უნდა მოძრაობდნენ თავისი სვლით;

ბ) დაღვრილი ნავთობპროდუქტები უნდა დაიფაროს სორბენტით. სორბენტი და გაზეთილი საწმენდი მასალები უნდა შეგროვდეს ნაპერწკალუსაფრთხო ხუფების მქონე ლითონის ყუთებში და შევსებისთანავე გატანილ იქნას ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიიდან;

გ) მანძილი გასამართ ავტომობილსა და მის უკან მდგომ ავტომობილს შორის უნდა იძლეოდეს უსაფრთხო მანევრირების და ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიიდან გასვლის შესაძლებლობას;

დ) საწვავის ჩასხმა მინის ან პოლიეთილენის ტარაში ანტისტატიკის გარეშე აკრძალულია.

7. ავტოგასამართ სადგურებსა და კომპლექსებზე, აგრეთვე მოძრავ ავტოგასამართ სადგურებზე დაუშვებელია:

ა) ძრავაჩართული სატრანსპორტო საშუალებების გამართვა;

ბ) მიწისქვეშა რეზერვუარებზე სატრანსპორტო საშუალებების გადატარება, თუ ეს არ არის გათვალისწინებული ტექნოლოგიური სისტემების ტექნიკური პირობებით და ტექნიკურ-საექსპლუატაციო დოკუმენტაციით;

გ) ავტოგასამართი სადგურების და კომპლექსების რეზერვუარების საწვავით შევსება და მომხმარებელზე გაცემა ჭექა-ქუხილის და ატმოსფერული განმუხტვის საშიშროების არსებობის დროს;

დ) ავტოგასამართი სადგურების და კომპლექსების მომსახურე პერსონალის საწვავით დაბინძურებული და ნაპერწკლების წარმოქმნის საშიშროების მქონე ტანსაცმლით და ფეხსაცმლით მუშაობა;

ე) სატრანსპორტო საშუალებების გამართვა, რომლებშიც იმყოფებიან მგზავრები (მსუბუქი ავტომობილების გარდა);

ვ) საშიში ტვირთის (ასაფეთქებელი ნივთიერებები, შეკუმშული და გათხევადებული საწვავი აირები, ადვილაალებადი სითხეები და მასალები, მომწამლავი და რადიაქტიული ნივთიერებები და სხვა) გადამზიდი სატრანსპორტო საშუალებების გამართვა, გარდა ამ მიზნებისათვის სპეციალურად გათვალისწინებული საწვავ-გასამართი პუნქტებისა (მითითებული გამონაკლისი არ ვრცელდება აირის ავზების მქონე ავტომობილის გამართვაზე);

ზ) ტრაქტორების შესვლა, რომლებიც არ არის მოწყობილი ნაპერწკალჩამქრობებით;

თ) სამუშაოების ჩატარება, რომლებიც არ არის დაკავშირებული უშუალოდ ავტოგასამართი სადგურის მოწყობილობის, შენობა-ნაგებობების შეკეთებასთან;

ი) საწვავ-სარიგებელი სვეტიდან გამართვა, თუ მათთან ტექნოლოგიური

მილსადენებით დაკავშირებულ რეზერვუარებში ხორციელდება ჩასხმა-ჩამოსხმის ოპერაციები. ამ შემთხვევაში საწვავ-სარიგებელ სვეტებსა ან გასამართ კუნძულებზე (უბნებზე) უნდა გამოიკრას გამაფრთხილებელი ნიშნები;

- კ) საწვავის გადასხმა გამართვის დროს;
- ლ) სარემონტო და საცეცხლე სამუშაოების განხორციელება ჩასხმა-ჩამოსხმის ოპერაციების ჩატარების ადგილიდან 20 მეტრის რადიუსში;
- მ) ავტოტრანსპორტის მოძრაობა ავტოცისტერნის მოედანზე ჩასხმა-ჩამოსხმის ოპერაციების ან ტექნოლოგიური ჭების სახურავების გახსნის დროს;
- ნ) სატრანსპორტო საშუალებების გაჩერება (საწვავით გამართვის გარდა), ტექნიკური მომსახურება ან მძღოლებისა და მგზავრების მომსახურება;
- ო) შენობა-ნაგებობების, სათავსების და დანადგარების გამოყენება საპროექტოდოკუმენტაციით განსაზღვრული მიზნობრივი დანიშნულების გარდა.
8. სახანძრო-სამაშველო დანაყოფთან შეთანხმებულ სპეციალურად გამოყოფილ მოედანზე მოძრავი ავტოგასამართი სადგურების ექსპლუატაციის დაწყებამდე საჭიროა:
- ა) მოძრავი ავტოგასამართი სადგურების მოწყობილობის ჰერმეტიკულობის შემოწმება ავარიის საწინააღმდეგო დაცვის სისტემების საკონტროლო ხელსაწყოებით და ვიზუალურად;
- ბ) კავშირის საშუალებების გამართულობის შემოწმება;
- გ) მოძრავი ავტოგასამართი სადგურის დამიწების გამტარის მიერთება მოედნის დამიწების მოწყობილობასთან;
- დ) მყარი საყრდენების მოწყობა და მათზე ბარიერების დამაგრება, რომლებიც შეზღუდავენ მოძრავ ავტოგასამართ სადგურთან სატრანსპორტო საშუალებების მიახლოებას არანაკლებ 1 მ-ზე;
- ე) ცეცხლმაქრების მზადყოფნაში მოყვანა;
- ვ) საწვავის ცისტერნაზე ყველა ლიუკის და სახშობების ჩაკეტვა, ხოლო ცისტერნის სივრცის დაკავშირება ატმოსფეროსთან ცეცხლშემზღუდის მქონე სასუნთქი სარქველით;
- ზ) გამოსაბოლქვ მილზე ნაპერწკალჩამქრობის მოწყობა;
- თ) სახანძრო უსაფრთხოების ზომების შესახებ სპეციალური ბანერის და უსაფრთხოების ნიშნების განთავსება.
- ი) დაღვრილი ნავთობპროდუქტების ლოკალიზაციისათვის სპეციალური ქვესადგამების მოწყობა.
9. დაუშვებელია მოძრავი ავტოგასამართი სადგურებად ავტოსაწვავგასამართების და სხვა ამ მიზნებისათვის გაუთვალისწინებელი ტექნიკის გამოყენება.
10. არასამუშაო საათებში ავტოგასამართი სადგურის და კომპლექსის ელექტრომოწყობილობა, რომელიც არ გამოიყენება უსაფრთხოების სისტემებში, უნდა გაუდენურდეს ელექტროენერჯის ძირითადი ამომრთველების გათიშვით.
11. დაუშვებელია ფეთქებადსაშიშ ზონებში იმ ელექტრომოწყობილობის ექსპლუატაცია, რომელსაც არ გააჩნია ქარხანა-დამამზადებლის აფეთქებისაგან დაცვის სპეციალური ნიშნები.
12. ზონებში, რომლებშიც შესაძლებელია წვადი ორთქლ-ჰაერის ნარევების წარმოქმნა, აკრძალულია:
- ა) ელექტროდანადგარების გამოყენება, რომელთა დამცავი დამიწება და მახლოკირებელი მოწყობილობები გაუმართავია, ხოლო გარსი დაზიანებულია;

ბ) ელექტრომოწყობილობის კორპუსის დაშლა, თუ მისი დენგამტარი ნაწილები იმყოფება ძაბვის ქვეშ;

გ) დაცვის აპარატებით ავტომატურად გათიშული ელექტროდანადგარების ჩართვა, მათი გათიშვის მიზეზების დადგენამდე;

დ) ელექტროდანადგარების ჩართვა გადატვირთვისა და მოკლე ჩართვისაგან დაცვის გარეშე;

ე) დამცველების დნობადი არაკალიბრებული ნაწილების, აგრეთვე თბური რელების გამახურებელი ელემენტების გამოყენება;

ვ) ნაპერწკალუსაფრთხო ხელსაწყოების კვების წყაროებში სხვა აპარატების ან წრედების მიერთება, რომლებიც არ შედის აღნიშნული ხელსაწყო კომპლექტში.

13. ავტოგასამართი სადგურის და კომპლექსის სათავსებში ჰაერგამაცხელებელ და გამათბობელ ხელსაწყოებთან მისასვლელები უნდა იყოს თავისუფალი. სათავსებში დასაშვებია მხოლოდ ქარხნული წარმოების ზეთის საყოფაცხოვრებო ელექტროგამაცხელებლების ან წყლის (ორთქლის) გათბობის გამოყენება.

14. ავტოგასამართი სადგურები და კომპლექსები უნდა იყოს აღჭურვილი არანაკლებ 3 მ სიგრძის ბუქსირის ხისტი შტანგით, ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიიდან ცეცხლმოდებული სატრანსპორტო საშუალების ევაკუაციისათვის.

15. ავტოგასამართი სადგურის და კომპლექსის ტერიტორიაზე, შესასვლელთან, უნდა იყოს გამოკრული ტერიტორიაზე მოძრაობის ორგანიზაციის სქემა. შემსვლელი და გამომსვლელი ტრანსპორტის მოძრაობის მარშრუტები არ უნდა იკვეთებოდეს.

16. ავტოგასამართი სადგურების და კომპლექსების საწარმოო და საზოგადოებრივი დანიშნულების სათავსებისათვის ცეცხლმაქრის ტიპის შერჩევა და საჭირო რაოდენობა უნდა განისაზღვროს მათი ცეცხლმაქრი თვისებებიდან, აგრეთვე სათავსის ფართობიდან, წვადი ნივთიერებებისა და მასალების ხანძრის კლასიდან გამომდინარე ამ ტექნიკური რეგლამენტის №7 დანართის №5 ცხრილის მოთხოვნების გათვალისწინებით.

17. ავტოგასამართი სადგურების და კომპლექსების ხანძარსაშიში სიტუაციებისა და ხანძრების ლოკალიზაციის და ლიკვიდაციის გეგმა უნდა იყოს შემუშავებული შესაძლო ხანძარსაშიში სიტუაციების, მათი განვითარების სცენარის, ავტოგასამართი სადგურების და კომპლექსის მომსახურე პერსონალის და ავტოცისტერნის მძღოლის მოქმედების, აგრეთვე ხანძრის გავრცელების შესაბამის სტადიებზე ავტოგასამართი სადგურის და კომპლექსის მომსახურე პერსონალის სახანძრო-სამაშველო დანაყოფებთან ურთიერთმოქმედების წესის გათვალისწინებით.

18. ავტოგასამართი სადგურების და კომპლექსების ხანძარსაშიში სიტუაციებისა და ხანძრების ლოკალიზაციის და ლიკვიდაციის გეგმა უნდა გადამუშავდეს ავტოგასამართი სადგურების და კომპლექსების რეკონსტრუქციის ან/და გადაიარაღების, მოწყობილობის ტექნოლოგიის, საპროექტო-გეგმარებითი გადაწყვეტების, ექსპლუატაციის წესის შეცვლის დროს, აგრეთვე სხვა ავტოგასამართ სადგურებზე ხანძარსაშიში სიტუაციების და ხანძრების წარმოშობის შესახებ ახალი მონაცემების არსებობისას.

19. ავტოგასამართი სადგურის და კომპლექსების მომსახურე პერსონალს და ავტოცისტერნების მძღოლებს არანაკლებ 6 თვეში ერთხელ უნდა ჩაუტერდეს ტრენინგები

ხანძრის ჩაქრობისა და საავარიო სიტუაციების ლოკალიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ, თითოეული კონკრეტული სიტუაციის გავარჯიშებით და შესაბამისი შედეგების სპეციალურ ჟურნალში დარეგისტრირებით.

20. ავტოგასამართი სადგურის და კომპლექსის ტერიტორიაზე თამბაქოს მოწევა აკრძალულია. მძღოლებისა და მგზავრების სერვისული მომსახურების შენობებსა და სათავსებში თამბაქოს მოსაწევად დასაშვებია სპეციალური ადგილების მოწყობა.

7. შსს -ს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის რეკომენდაციები აგს-ზე სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ

„სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის N370 დადგენილების, „ავტოგასამართი სადგურებისა და ავტოგასამართიო კომპლექსების უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N60 დადგენილებისა და „საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტების აღიარებისა და სამოქმედოდ დაშვების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N52 დადგენილებით აღიარებული ნორმების მოთხოვნების შესაბამისად, ავტოგასამართი სადგურის მშენებლობისას და ექსპლუატაციისათვის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ მიცემული იქნა შემდეგი რეკომენდაციები:

ა) ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნების შესაბამისად, ავტოგასამართი სადგურის ყველა სათავსში დამონტაჟდეს სახანძრო სიგნალიზაცია, გარდა იმ ოთახებისა სადაც მუდმივად იმყოფება მომსახურე პერსონალი;

ბ) ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნების შესაბამისად, ავტოგასამართი სადგური და საწვავის მიწისქვეშა რეზერვუარი დაცილებული უნდა იყოს:

- საავტომობილო გზებიდან არანაკლებ 15 (თხუთმეტი) მეტრისა;
- სარკინიგზო გზებიდან არანაკლებ 25 (ოცდახუთი) მეტრისა;
- საზოგადოებრივი დანიშნულების ნებისმიერი შენობა-ნაგებობამდე და ადამიანთა მასიური თავშეყრის ადგილებამდე არანაკლებ 25 (ოცდახუთი) მეტრისა;

გ) ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნების შესაბამისად, ავტოგასამართი სადგური აღიჭურვოს ხანძრის ქრობის პირველადი საშუალებებით - ცეცხმაქრებით, სახანძრო სტენდით, აგრეთვე სორბენტით;

დ) ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნების შესაბამისად, წყლის მომარაგების შესაბამისი ქსელის არსებობის შემთხვევაში ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე მოეწყოს სახანძრო ჰიდრანტი, ხოლო ასეთი ქსელის არ არსებობის

შემთხვევაში, ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიიდან არაუმეტეს 200 (ორასი) მეტრის დაშორებით მოეწყოს შესაბამისი მოცულობის ხანძარსაწინააღმდეგო წყალსაცავი (რეზერვუარი);

ე) ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნების შესაბამისად, ავტოგასამართი სადგურის საწვავის შესანახი რეზერვუარები უნდა იყოს აღჭურვილი მოწყობილობით, რომელიც მისი მოცულობის 90%-ის შევსების დროს გაოსცემს ხმოვან სიგნალს და აღნიშნულის შესახებ ატყობინებს ავტოგასამართი სადგურის თანამშრომლებს, ხოლო 95%-ის შევსების დროს უზრუნველყოფს საწვავის მიწოდების ავტომატურ შეწყვეტას;

ვ) ავტოგასამართი სადგურის საწვავის რეზერვუარების საწვავით შევსების დონე არ უნდა აღემატებოდეს მათი შიდა გეომეტრიული მოცულობის 95%-ს;

ზ) ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნების შესაბამისად, ავტოგასამართი სადგურის საწვავის გამანაწილებელი სვეტი უნდა იყოს აღჭურვილი მოწყობილობით, რომელიც გამორიცხავს სვეტის დაზიანების შემთხვევაში საწვავის დაღვრას, როგორც საწვავის დამაკავშირებელი მილდგარებიდან, ასევე გამმართველი რეზინის მოქნილი მილებიდან;

თ) ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნების შესაბამისად, ავტოგასამართი სადგურის საწვავის შესანახი რეზერვუარები აღჭურვილი უნდა იყოს ჰერმეტიკულობის კონტროლის სისტემებით;

ი) ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნების შესაბამისად, ავტოგასამართის ექსპლუატაციის დროს რეზერვუარების საწვავით შევსებისას გამორიცხული უნდა იყოს საწვავის ჩასხმის დროს ნაკადის დაცემის წარმოქმნა;

კ) ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნების შესაბამისად, ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე არ იქნება გამოყენებული ელ. ენერგიის საჭაერო გადაცემის ხაზები

ლ) ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნების შესაბამისად, ავტოგასამართი სადგურისათვის პროექტით გათვალისწინებული გამართული მეხდაცვის სისტემა;

მ) ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნების შესაბამისად, ავტოგასამართი სადგურის ძირითადი და დამხმარე მოწყობილობები დაცული უნდა იყოს სტატიკური ელექტროობისაგან. რეზერვუარების საწვავით შევსების დროს ავტოციეტერნები მიერთებული ინდა იყოს დამიწების მოწყობილობებთან;

ნ) ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნების შესაბამისად, ავტოგასამართი სადგურის საწვავის რეზერვუარისათვის მოეწყოს ქარხნულიწარმოების სასუნთქი, დამცავი სარქველები, რომლებიც გამორიცხავენ რეზერვუარებში აღისშედწევას;

ო) ბრზანებით განისაზღვროს ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებების შენახვისა და მოქმედებებისათვის მზადყოფნაზე პასუხისმგებელი პირი;

პ) ავტოგასამართი აღიჭურვოს არანაკლებ 3 (სამი) მეტრი სიგრძის ბუქსირის ხისტი შტანგით;


ჟ) ავტოგასამართი სადგურის მომსახურე პერსონალს და ავტოცისტერნების მძღოლებს არანაკლებ 6 თვეში ერთხელ ჩაუტარდეს ტრენინგები ხანძრის ჩაქრობისა და საავარიო სიტუაციების ლოკალიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ.

ზემოაღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინებით განხორციელდა აგს-ის პროექტის შედგენა.

პროექტის ტექნოლოგიური ნაწილის განმარტებითი ბართის თანახმად, პროექტირებისას გამოყენებულია ამერიკის სტანდარტი ადვილადააღებადი და ფეთქებადსაშიში თხევადი ნივთიერებების კოდექსი NFPA 30 2015 წლის გამოცემა. ყველა ტექნოლოგიურ მოწყობილობაზე დაყენებულია ხანძრის შემთხვევაში ავტომატური ჩამკეტი სისტემები.


შენიშვნები

1. სარეზერვუარი;
2. ავტორეზერვუარის წარმოქმნა;
3. რეზერვუარი;
4. ნაპირურპროექტების 80%ისთვის რეზერვუარი 4 ტალო V=13 მ³;
5. წყლის რეზერვუარი V=16 მ³;
6. ავტორეზერვუარი;
7. ნაპირურპროექტების განყოფილება;
8. ავტორეზერვუარის საწინააღმდეგო;
9. ნაპირურპროექტის მოსაწყობი;
10. ავტორეზერვუარი მოსაწყობი;
11. სივრცელი;
12. სარეზერვუარის ავტორეზერვუარი მოსაწყობი d=89;
13. ავტორეზერვუარის მოსაწყობი;
14. ავტორეზერვუარის მოსაწყობი R=109,54;
15. ავტორეზერვუარი მოსაწყობი;




ავტორეზერვუარის მოსაწყობი, სტრ. პროექტი (სკ 39.07.28.070)			
შენიშვნა	დ. ნახტავი	<i>[Signature]</i>	7.02.2020წ.
			3
ავტორეზერვუარის მოსაწყობი	ავტორეზერვუარის მოსაწყობის სარეზერვუარი		

მიწისქვეშა რეზერვუარის შემოკერის სქემა



ტფიშელის მუნიციპალიტეტი, სოფ. ბულაბო (ს/პ 39.07.28.070)			
შეამოწმნა	დ. ჩახტაბური	<i>Handwritten Signature</i>	7.02.2020წ.
			4
ამტომსახმარებო სარგებო	მიწისქვეშა რეზერვუარის უზრუნველყოფის სქემა		

ნავთობ აროდუქტების განაწილებელი ქსელის სქემა ავტოგასაწვითი სადგურებისათვის,
რომელიც ასახავს ხვადასზე კომპონენტების განაწილებას მიწისქვეშა სასაფილაზე



ტომის მფლობელი, ს/ს, ნაშრომის № 3987.28.070			
შეამუშავა	დ. ნახტაში	<i>Handwritten Signature</i>	7.02.2020წ.
			5
ამბროსიანი	ნახტაში	ნახტაში	

8. ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა

ავარიის პრევენცია და ლიკვიდაცია უნდა განხორციელდეს ავარიულ სიტუაციაზე რეაგირების გეგმის შესაბამისად, რომლის მიზანია საწარმოს მომსახურე პერსონალის, მოსახლეობისა და გარემოს უსაფრთხოების დაცვა.

ავარიული სიტუაციების პრევენციისა და ლიკვიდაციის გეგმის შემუშავების მიზნით წინასწარ უნდა განისაზღვროს ავარიული სიტუაციების სავარაუდო სცენარები.

გეგმის შესამუშავებლად აუცილებელია განისაზღვროს:

ავარიის სახე და მისი წარმოქმნის ადგილი;

- ავარიების შესაძლო ალბათობა;
- ავარიული სიტუაციის სავარაუდო სცენარი;
- მოსალოდნელი სავარაუდო შედეგი;
- ცალკეული ავარიის პრევენციის ღონისძიებები;
- ცალკეული ავარიის ლიკვიდაციის გეგმა;

რეაგირება ხანძრის აღმოცენება-გავრცელების შემთხვევაში

საწარმოსათვის ყველაზე სენსიტიურია ხანძარი, რომლის ლიკვიდაცია და რეაგირება საჭიროა სათანადო სამსახურთან შეთანხმებული სახანძრო უსაფრთხოების გეგმის შესაბამისად.

ხანძრის კერის ან კვამლის აღმომჩენი პირის და მახლობლად მომუშავე პერსონალის სტრატეგიული ქმედებებია:

- სამუშაო უბანზე ყველა საქმიანობის შეწყვეტა, გარდა უსაფრთხოების ზომებისა;
- სიტუაციის შეფასება, ხანძრის კერის და მიმდებარე ტერიტორიების დაზვერვა;
- შეძლებისდაგვარად ტექნიკის და სხვა დანადგარ-მოწყობილობების იმ ადგილებიდან გაყვანა/გატანა, სადაც შესაძლებელია ხანძრის გავრცელება.
- ელექტრომოწყობილობები უნდა ამოირთოს წრედიდან;
- იმ შემთხვევაში თუ ხანძარი მძლავრია და გამწვავებულია ხანძრის კერასთან მიდგომა, მიმდებარედ განლაგებულია რაიმე ხანძარსაშიში ან ფეთქებადსაშიში უბნები/ნივთიერებები, მაშინ:
 - მოშორდით სახიფათო ზონას;
 - ავარიის შესახებ შეტყობინება გადაეცით მენეჯერს / უფროსს;

- დაელოდეთ სამაშველო სამსახურის გამოჩენას და მათი მოსვლისას გადაეცით დეტალური ინფორმაცია ხანძრის მიზეზების და ხანძრის კერის სიახლოვეს არსებული სიტუაციის შესახებ;
- იმ შემთხვევაში თუ ხანძარი არ არის მძლავრი, ხანძრის კერა ადვილად მისადგომია და მასთან მიახლოება საფრთხეს არ უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას, ამასთან არსებობს მიმდებარე ტერიტორიებზე ხანძრის გავრცელების გარკვეული რისკები, მაშინ იმოქმედეთ შემდეგნაირად:
 - ავარიის შესახებ შეტყობინება გადაეცით მენეჯერს / უფროსს;
 - მოძებნეთ სახანძრო სტენდი და მოიმარაგეთ საჭირო სახანძრო ინვენტარი (ცეცხლმაქრობი, ნაჯახი, ძალაყინი, ვედრო და სხვ.);
 - ეცადეთ ხანძრის კერის ლიკვიდაცია მოახდინოთ ცეცხლმაქრობით, ცეცხლმაქრობზე წარმოდგენილი ინსტრუქციის მიხედვით;
 - იმ შემთხვევაში თუ უბანზე არ არსებობს სახანძრო სტენდი, მაშინ ხანძრისკერის ლიკვიდაციისთვის გამოიყენეთ ქვიშა, წყალი ან გადააფარეთ ნაკლებადაალებადი სქელი ქსოვილი;
 - იმ შემთხვევაში თუ ხანძრის კერის სიახლოვეს განლაგებულია წრედში ჩართული ელექტროდანადგარები წყლის გამო დახურულ სივრცეში ხანძრის შემთხვევაში ნუ გაანიავებთ ოთახს (განსაკუთრებული საჭიროების გარდა), რადგან სუფთა ჰაერი უფრო მეტად უწყობს ხელს წვას და ხანძრის მასშტაბების ზრდას.

ხანძრის შემთხვევაში უბნის მენეჯერის სტრატეგიული ქმედებებია:

- დეტალური ინფორმაციის მოგროვება ხანძრის კერის ადგილმდებარეობის, მიმდებარედ არსებული/დასაწყობებული დანადგარ-მექანიზმების და ნივთიერებების შესახებ და სხვ;
- სახანძრო სამსახურის ინფორმირება;
- ინციდენტის ადგილზე მისვლა და სიტუაციის დაზვერვა, რისკების გაანალიზება და ხანძრის სავარაუდო მასშტაბების შეფასება;
- მთელს პერსონალს ეთხოვოს მანქანებისა და უბანზე არსებული ხანძარ საქრობი აღჭურვილობის გამოყენება;
- პერსონალის ქმედებების გაკონტროლება და ხელმძღვანელობა, სახანძრო რაზმის გამოჩენამდე;
- სახანძრო რაზმის ქმედებების ხელშეწყობა (შესაძლოა საჭირო გახდეს უბანზე არარსებული სპეციალური აღჭურვილობა და სხვ.);

- ინციდენტის დასრულების შემდგომ ავარიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების გატარება - ნახანძრავი ტერიტორიის მონიტორინგი დარჩენილი ხანძრის კერების გამოვლენის მიზნით;
- ანგარიშის მომზადება, კომპანიის მენეჯერის ინფორმირება.

ავარიის შესახებ შეტყობინება

ავარიულ სიტუაციაზე რეაგირებისათვის მნიშვნელოვანია ავარიის შესახებ შეტყობინების ქსელის შექმნა:

- საწარმოში მყოფი ადამიანებისა და პასუხისმგებელი პირებისათვის შეტყობინება;
- სახელმწიფო სტრუქტურებისათვის შეტყობინება (პირველ რიგში 112 სამსახურის გამოძახება);
- მოსახლეობისათვის შეტყობინება (საჭიროების შემთხვევაში);
- გარემოს შესაძლო ან მოსალოდნელი დაზიანებების შემთხვევაში გარემოს დაცვის სამსახურისათვის შეტყობინება (153 ცხელი ხაზი).

ავარიული სიტუაციის დოკუმენტირება:

ავარიული სიტუაციის დროს საჭიროა სიტუაციის დოკუმენტირება, რომელშიც შეძლებისდაგვარად ზუსტად იქნება ასახული მომხდარი ავარიის შესახებ ყველა ინფორმაცია:

- ავარიის დრო, რიცხვი, დღე, საათი, წუთი;
- ავარიის ადგილი - უბანი, დანადგარი, მოწყობილობა, მიახლოებითი სიზუსტით;
- ავარიის პირველი შემჩნევის ვინაობა, სახელი-გვარი, თანამდებობა;
- ვის მიაწოდა პირველად შეტყობინება და რა მეთოდით;
- რა სახელმწიფო სამსახურების გამოძახება მოხდა (თანმიმდევრობით);
- ავარიის კლასი და მასშტაბი;
- გამოწვეული შედეგები (მათ შორის ადამიანების დაზარალება, მატერიალური ზარალი და გარემოს დაზიანება);
- ავარიის მიზეზი (შესაძლებლობის შემთხვევაში);
- ინფორმაცია ავარიის ლიკვიდაციის შესახებ (ვის მიერ, რა დროში).

დანართი 3. სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს N391 წერილი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაცული ტერიტორიების სააგენტო



LEGAL ENTITY UNDER PUBLIC LAW
AGENCY OF PROTECTED AREAS

ბ გულუას ქ. N6 0114 თბილისი / საქართველო ტელ +99 5 32 275 23 53 / ელ. ფოსტა daculebi@gmail.com
6 GULUA STREET / TBILISI / GEORGIA 0114 TEL +99 5 32 275 23 53/ EMAIL. daculebi@gmail.com

N 391



21/02/2021

391-0-2-202102211756

იმ ირაკლი ნიშნიანიძეს

ბატონო ირაკლი,

სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტომ განიხილა თქვენი 02.02.2021 #173 წერილი, რომელიც ეხება ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფ. გელათში, მიწის ნაკვეთზე ს/კ #39.07.28.070 ავტოგასამართი სადგურის მშენებლობის და სახანძრო უსაფრთხოების გეგმის შეთანხმების საკითხს.

ჩვენს მიერ შესწავლილ იქნა ზემოაღნიშნულ წერილში წარმოდგენილი ტერიტორია და გაცნობებთ, რომ მიწის ნაკვეთი ს/კ #39.07.28.070, წყალწითელას ხეობის ბუნების ძეგლისგან მოშორებულია დაახლოებით 900 მეტრით (იხ. რუკა). დაცული ტერიტორიების სააგენტოს არ გააჩნია შენიშვნები სახანძრო უსაფრთხოების პირობები და ხანძარზე რეაგირების გეგმასთან დაკავშირებით.

დანართი: 1 გვ.

პატივისცემით,

ვალერიან მჭედლოძე

თავმჯდომარე



დანართი 4. პასუხები სამინისტროს 28/12/2020 N12607/01 წერილზე

№	შენიშვნა	პასუხი
1	<p>საპროექტო ტერიტორია მდებარეობს დაცული ბუნების ძეგლის (წყალწითელას ხეობა) სიახლოვეს, შესაბამისად სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების შედეგად შესაძლო ავარიული სიტუაციებისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შესახებ. ხანძრის წარმოქმნის შემთხვევაში, დროული რეაგირების უზრუნველყოფის მიზნით, აღნიშნული სამოქმედო გეგმა შეთანხმებული უნდა იქნეს იმერეთის მღვიმეთა დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციასთან, ხოლო აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია მოცემული უნდა იქნეს სკრინინგის განცხადებაში.</p>	<p>ი/მ ირაკლი ნიშნიანიძის მიერ მომზადებული იქნა სახანძრო უსაფრთხოებისა და ხანძარზე რეაგირების გეგმა, რომელიც შესათანხმებლად გაგზავნილი იქნა სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოში. სააგენტოს 2021 წლის 21 თებერვლის N351 წერილის თანახმად დაცული ტერიტორიების სააგენტოს წარდგენილ გეგმასთან დაკავშირებით შენიშვნები არ გააჩნია. ზემოაღნიშნულის შესახებ ინფორმაცია მოცემულია სკრინინგის განაცხადში §6.8 და §6.12.</p>
2	<p>ვინაიდან, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ბუნების ძეგლის სტატუსის მქონე წყალწითელას ხეობიდან დაახლოებით 76 მეტრში, აღნიშნულ ტერიტორიაზე არ უნდა მოხდეს მშენებლობის ეტაპზე წარმოქმნილი სამშენებლო ნარჩენების განთავსება. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი გათვალისწინებული უნდა იქნეს სკრინინგის განცხადებაში.</p>	<p>აგს-ის მშენებლობის ეტაპზე წარმოქმნილი სამშენებლო ნარჩენები გატანილია ტერიტორიიდან შესაბამისი სამსახურების მიერ. ინფორმაცია მოცემულია სკრინინგის განცხადებაში §6.5.</p>